<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქუჩის გაგრძელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. კრწანისის რაიონში, გაგრძელდეს კრწანისის ქუჩა, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X:484155 Y:4613057
X:484216 Y:4613098
X:484164 Y:4613027
X:484117 Y:4613055
X:484348 Y:4613001
X:484245 Y:4613007
X:484250 Y:4612958
X:484069 Y:4612899
X:484147 Y:4612922
X:484109 Y:4612884
X:484193 Y:4612837
X:484138 Y:4612824
X:484196 Y:4612791
X:484155 Y:4612769
X:484164 Y:4612736
X:484022 Y:4612645
X:484081 Y:4612670
X:484097 Y:4612595
X:484079 Y:4612566
X:484066 Y:4612522
X:484066 Y:4612466
X:484058 Y:4612422
X:484072 Y:4612329
X:484111 Y:4612290
X:484173 Y:4612270
N
1:4,500

2022 წლის 02 მაისი

May 02, 2022

#01/21

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო ვარდოსანიძეს

Ms. Nino Vardosanidze
Chairperson of the Names and Symbols
Commission of the Tbilisi Municipality Council

ქალბატონო ნინო,

Dear Ms. Vardosanidze,

მოგახსენებთ, რომ თბილისი ჰილს გოლფ ენდ რეზიდენცი („**პროექტი**") არის უნიკალური პროექტი, რომელიც მდებარეობს სოფელ თელეთში, გარდაბანში, საქართველოში, რომელსაც ახორციელებს შპს „პრიმერა გოლფ ენდ რეზიდენცი" (საიდენტიფიკაციო კოდი: 404481379) („**კომპანია**"), და რომელიც ხორციელდება ესტონური, ჯამში 300 000 000 ევროს ინვესტიციით.

Tbilisi Hills Golf & Residences is a flagship project (the "**Project**") located at Village Teleti, Gardabani, Georgia, which is run by Primera Golf and Residences LLC (Identification number: 404481379) (the "**Company**") and is carried out with Estonian investment the amount of EUR 300 000 000 in total.

„პროექტი" განთავსებულია 331 ჰა-ზე და მოიცავს მაღალი სტანდარტის საცხოვრებელ კომპლექსსა და სარეკრეაციო ტერიტორიას, ხოლო ამჟამად „პროექტში" უკვე ფუნქციონირებს 18 ფოსოიანი გოლფის მოედანი, სადაც არის შესაძლებელი საერთაშორისო ტურნირების მასპინძლობა. „პროექტში" დაგეგმილია, სხვადასხვა მულტიფუნქციური ინფრასტრუქტურის

The Project is located at 331 ha and includes a high-end residential and recreational area with an 18-hole golf course already up and running and capable of hosting international tournaments. The Project plans to develop the various multifunctional infrastructure.

განვითარება.

„პროექტს“ უკვე ჰყავს რეზიდენტები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ტერიტორიაზე, ასევე, აქტიურად, რეგულაციების დაცვით ტარდება სხვადასხვა გოლფის ტურნირები, მუშაობს რესტორანიც.

The Project already has residents who live permanently in the area, as well as various golf tournaments in compliance with the regulations are held, the restaurant also operates.

„პროექტი“ მდებარეობს თბილისის მახლობლად, შემაღლებულ ადგილას და დაკავშირებულია თბილისთან ორი გზით - ერთი, რომელიც უშუალოდ ქალაქ თბილისს უკავშირდება, ხოლო მეორე, რომელიც უკავშირდება სოფელ თელეთს. ქალაქ თბილისთან დამაკავშირებელი გზა, რომელიც მხოლოდ „პროექტის“ დამაკავშირებელია თბილისთან არ არის სახელდებული (იხ. დანართი 1). აღნიშნული დისკომფორტს ქმნის როგორც მოსახლეებისთვის, ისე ნებისმიერი სტუმარისთვის, მათ შორის, უცხოელი სტუმრებისთვის, ვინაიდან ვერ ხერხდება აღნიშნული ქუჩის დატანა სანავიგაციო რუკებზე (Google Maps) რაც ანახებს სტუმრებს „პროექტამდე“ მისასვლელ გზას.

The Project is located near Tbilisi, on an elevated spot and is connected to Tbilisi in two ways - one, which is directly connected to the city of Tbilisi, and the other, which is connected to the village of Teleti. The road connecting the city of Tbilisi, which is only a road which connects Project to Tbilisi is not named (see Annex 1). This creates inconvenience for the residents as well as for any guest, including foreign guests, as it is not possible to put this street on the navigation maps (Google Maps) which shows the visitors the way to the Project.

ამავდროულად, აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტი კვეთს ორი მუნიციპალიტეტის ტერიტორიას - ქალაქ თბილისის და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებს. თბილისის მხრიდან, აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს შემდეგ საკადასტრო კოდზე: 81.03.16.109, ხოლო გარდაბნის მხრიდან: 81.03.12.735, 81.03.16.024, 81.03.16.025. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტი თბილისის ტერიტორიაზე, კერძოდ კი, კრწანისის

At the same time, this geographical object crosses the territory of two municipalities - the city of Tbilisi and the territory of Gardabani municipality. From the Tbilisi side, the mentioned geographical object is located on the following cadastral code: 81.03.16.109, and from the Gardabani side: 81.03.12.735, 81.03.16.024, 81.03.16.025. Please note that the mentioned geographical object enters the territory of Tbilisi, in particular, Krtsanisi district and it has the name of Krtsanisi street in Krtsanisi region.

რაიონში ჩადის და მას კრწანისის დასახლებაში აქვს კრწანისის ქუჩის სახელწოდება.

შესაბამისად, ვინაიდან გეოგრაფიული ობიექტი არის მთლიანი (არ აქვს ჩიხები, არ უერთდება სხვა გზას დასახლების შემდგომ) „კომპანია" მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილია მას ეწოდოს ერთი სახელი, ანუ კრწანისის ქუჩის სახელწოდება გავრცელდეს მთელ ამ გეოგრაფიულ ობიექტზე იქამდე, სანამ ის ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებშია.

Therefore, since the geographical object is complete (has no dead ends, does not join another road after settlement), the Company considers it appropriate to call it by one name hence, the name of Krtsanisi Street shall be extended to this whole geographical object as long as it is within the administrative boundaries of the city of Tbilisi.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის დადგენილება #14-59-ის მე-8 პუნქტის 2 „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების თაობაზე ინიციატივის წარდგენაზე უფლებამოსილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია.

According to Section 8(2)(b) of the Resolution #14-59 dated June 16, 2015 of the Tbilisi Municipality Council, the Names and Symbols Commission of the Tbilisi Municipality Council is authorized to submit an initiative on the names of geographical objects.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის დადგენილება #14-59-ის მე-9 პუნქტის პირველი ქვეპუნქტის მიხედვით, გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარდგენილი ინიციატივა უნდა ეხებოდეს კონკრეტულ გეოგრაფიულ ობიექტს/ობიექტებს და მას უნდა ერთვოდეს:

ა) სახელდების ინიციატივის მოტივაცია და დასაბუთება;

ბ) შესაბამისი გეოგრაფიული

According to Section 9(1) of the Resolution #14-59 dated June 16, 2015 of the Tbilisi Municipality Council the initiative on the names of the geographical object submitted to the Municipal Council shall refer to a specific geographical object/objects and following shall be attached to it:

A) Motivating and justifying the naming initiative;

B) Description of the relevant geographical object/objects (location of the geographical object/objects, name of the adjacent geographical object/objects,

ობიექტის/ობიექტების აღწერა (გეოგრაფიული ობიექტის/ობიექტების მდებარეობა, მისი მოსაზღვრე გეოგრაფიული ობიექტის/ობიექტების სახელწოდება/სახელწოდებები და სხვა);

გ) ინფორმაცია ობიექტთან/ობიექტებთან დაკავშირებული ღირშესანიშნავი ან/და ისტორიული მოვლენის/მოვლენების თუ გამოჩენილი პიროვნების/პიროვნებების შესახებ არსებობის შემთხვევაში;

დ) კომისია უფლებამოსილია კონკრეტული ინიციატივის განხილვის პროცესში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა (გეოგრაფიული ობიექტის XY კოორდინატები WGS-84 კოორდინატთა სისტემაში, არსებობის შემთხვევაში, საკადასტრო მონაცემები, ორთოფოტო, იმ პირთა ხელმოწერები, ვისაც, შესაძლოა შეეხოს საკრებულოს გადაწყვეტილება).

etc.);

C) Information about a significant and/or historical event/events related to the object/objects or prominent person/persons;

D) The commission is authorized to request additional documentation during the consideration of a specific initiative (XY coordinates of the geographical object in the WGS-84 coordinate system, if available, cadastral data, orthophotos, signatures of persons who may be affected by the decision of the Council).

ვინაიდან „კომპანია" არ წარმოადგენს ინიცირებაზე უფლებამოსილ პირს, და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას აქვს ასეთი უფლებამოსილება, აღნიშნული წერილით მოგმართავთ თხოვნით, გაგვიწიოთ შუამდგომლობა და წარადგინოთ „პროექტის" მისასვლელი ქუჩის სახელდების ინიცირება თბილისის საკრებულოში იმგვარად, რომ აღნიშნულ გეოგრაფიულ ობიექტს ეწოდოს ერთი სახელი - კრწანისის ქუჩა.

As the Company is not authorized to initiate, and the Names and Symbols Commission of the Tbilisi Municipality Council has the authority, under this letter, we kindly ask you to submit to the Tbilisi Municipality Council the initiation of the access street of the Project in such a way that the issue is discussed to name mentioned geographical object by one name – Krtsanisi street.

წარსადგენი ინიციატივის მოტივაცია და დასაბუთება მოცემულია აღნიშნულ წერილში, ხოლო ქუჩის მდებარეობა და

The motivation and justification of the initiative to be presented are given in the mentioned letter, the location of the street and the name is indicated in Appendix 1 thereof (CD).

შემოთავაზებული სახელები მოცემულია დანართი 1-ში (CD სახით). გეოგრაფიული ობიექტის ნაწილი მდებარეობს თბილისში, ნაწილი სოფელ თელეთში, გარდაბანში (იხ. დანართი 1), რომელსაც დასავლეთიდან ესაზღვრება სოფელი ტაბახმელა, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან თბილისის მუნიციპალიტეტი, ხოლო ჩრდილოეთიდან სოფელი ზემო თელეთი. ხოლო ინფორმაცია ობიექტთან დაკავშირებული ღირშესანიშნავი ან/და ისტორიული მოვლენის თუ გამოჩენილი პიროვნების შესახებ ცნობილი არ არის.

Geographical objects are located partly in Tbilisi Municipality and partly in the village of Teleti, Gardabani (see Annex 1), bordered on the west by the village of Tabakhmela, on the east and south by the municipality of Tbilisi, and on the north by the village of Zemo Teleti. And information about a significant and/or historical event or prominent person related to the object is not known.

ადმინისტრაციული წარმოების პროცესში შესაძლოა განსახილველი იყოს გარკვეული ტექნიკური საკითხები. ამიტომ, მოგმართავთ თხოვნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ჩაებათ „კომპანია" ადმინისტრაციულ წარმოებაში როგორც დაინტერესებული მხარე, რათა „კომპანიას" ჰქონდეს ტექნიკური საკითხების დაზუსტების და საჭიროებისამებრ, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

During the administrative procedure, there might arise technical details. Hence, following Article 95(1) of the General Administrative Code of Georgia, please involve the Company in the administrative proceedings as an interested party, as the Company has the opportunity to clarify technical issues and, if necessary, participate in the administrative proceedings.

წინასწარ მადლობს გიხდით თქვენი მხარდაჭერისთვის აღნიშნულ საკითხში.

We thank you in advance for your support on this matter.

„კომპანიის" მხრიდან საკონტაქტო პირია მიხეილ შათაშვილი (მობ.: 577 232 367; ელ-ფოსტა: misha.shatashvili@tbilisihills.com).

Misha Shatashvili (Mob.: 577 232 367; e-mail: misha.shatashvili@tbilisihills.com) shall be the contact person from the Company.

გთხოვთ, ნებისმიერი პასუხი (წერილი) ასევე ელექტრონულად გამოაგზავნოთ ზემოთ მითითებულ ელ-ფოსტის მისამართზე.	Please, send any response (letter) to the aforesaid e-mail address.
ეს წერილი შედგენილია ინგლისურ და ქართულ ენებზე, რაიმე წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ინგლისურ ვერსიას.	This letter is executed in English and Georgian languages. In case of any discrepancy, the English version shall prevail.
პატივისცემით,	With kind regards,
დანართები:	Encl.:
1. „პროექტამდე" მისასვლელი გზის გეგმა.	1. The project of the access road of the Project.

მიხეილ შათაშვილი Mikheil Shatashvili

სერგეი მილერს Sergejs Millers


ᲙᲠᲬᲐᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲚᲘ ᲒᲖᲐ (ᲡᲔᲠᲞᲔᲜᲢᲘᲜᲘ)
KRTSANISI SIDE ROAD (SERPENTINE)
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ
MUNICIPALITY OF TBILISI
ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ ᲙᲠᲬᲐᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ
COMPLEX ENTRANCE FROM KRTSANISI
ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ
MUNICIPALITY OF GARDABANI

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032213629**
თარიღი: **16/05/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი შპს "პრიმერა გოლფ ენდ რეზიდენც"-ის წარმომადგენლის მიხეილ შათაშვილის 2022 წლის 02 მაისის საქმე #10/032212290-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას (81.03.16.109)
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 8 (რვა) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0122137276**
თარიღი: **17/05/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 16.05.2022 წლის #03-032213629 (16.05.2022წ. #14-0122136995-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი